დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორის
მოვალეობის შემსრულებლის
2023 წლის 16 ოქტომბრის N 01/120 ბრძანებით
ცვლილება: 2025 წლის 17 დეკემბრის ბრძ. N01/174

# სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი''

# კვლევის მეთოდოლოგია/წესი

2025

ფოთი

## მიზანი და რეგულირების სფერო

1. წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი'' კვლევების ჩატარებას;
2. წესის მიზანია კოლეჯმა განახორციელოს მნიშვნელოვან საკითხებზე შიდა და გარე კვლევები, რათა მან შეძლოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება/ანალიზი, არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის და შემდგომი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისთვის;
3. საკითხები, რომლებიც არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდების, შინაგანაწესით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედი დებულებით.

## კვლევის მეთოდები და ამოცანები

კვლევა ტარდება რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით.

კოლეჯში მიმდინარე საქმიანობის შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის -შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე. კოლეჯში შიდა საჭიროებების დადგენის დროს კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, შრომის ბაზარი და სხვა.

კვლევით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება. ამასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

რაოდენობრივი კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების ადგილზე შევსებით, ასევე ელექტრონულად Evaluation.com, Facebook.com და Google Form-ის პლატფორმების გამოყენებით.

კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს შემდეგი კვლევების ჩატარებას:

ა) **პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების და თვითშეფასების კვლევა.** კერძოდ: სტუდენტური სერვისების, სასწავლო პროცესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. კმაყოფილება პროფესიული სტუდენტის მხრიდან (დანართი 1). პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობა კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ. ასევე, პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება (დანართი 2), აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობა. კვლევის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი აფასებს მასწავლებლის კომპეტენციას, სასწავლო რესურსებს (მასალა, ლიტერატურა) და ა.შ . პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად, პროგრამის განხორციელების პერიოდში, ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასებისა და კმაყოფილების კვლევა გულისხმობს სამუშაო პირობების, მხარდაჭერის სერვისების, ინფრასტრუქტურის და ა.შ კმაყოფილებას პროფესიული მასწავლებლების მხრიდან, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება, ეს კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაიხვეწოს მოდულებში დამხმარე ჩანაწერები, მათ შორის განახლდეს სასწავლო რესურსი,

სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში აღმოიფხვრას ხარვეზები სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (დანართი 2). საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი ყოველი პროგრამის განხორციელებისას ერთჯერ ახორციელებს გამოკითხვას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
გ) თანამშრომელთა თვითშეფასებისა და კმაყოფილების კვლევა გულისხმობს სამუშაო პირობების, მხარდაჭერის სერვისების, ინფრასტრუქტურის და ა.შ შეფასებას დასაქმებულის მხრიდან. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მიზნით ხორციელდება ანგარიშგება უშუალო ხელმძღვანელთან თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული წესის შესაბამისად,ზეპირი ან წერილობითი ფორმის მეშვეობით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭირვალე მექანიზმების შემუშავება. შემუშავებულია კვლევებისათვის საჭირო კითხვარები(დანართი - კითხვარები). კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები),დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას, შესაბამისი სამსახურის ან/და პერსონალის ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას.

გ) **კურსდამთავრებულთა კვლევა** (დანართი 4).
კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გავიგოთ თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). ასევე თუ რა როლი ითამაშა ჩვენთან მირებულმა ცოდნამ მათი პიროვნული და კარიერული კომპეტენციების ამაღლებაში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.
დ) დამსაქმებელთა კვლევა (დანართი 5). დამსაქმებელთა კვლევის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით:
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა;
კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა.
სასურველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების და/ან კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები საქართველოში, ასევე, ის პარტნიორი დაწესებულებები/ორგანიზაციები, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკა. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერთან

ერთად, ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფიდან მიღებულ მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.
ე) ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა (დანართი 6). კერძოდ: ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან კოლეჯის მართვის პროცესებით კმაყოფილება, მაგალითად როგორიცაა: მართვის სტილი, პერსონალის ჩრთულობა კოლეჯის მისიისა და ხედვის შემუშავებაში, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, მხარდამჭერი სერვისები, სასწავლო პროცესი და სხვა. კვლევას ყოველწლიურად ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებით კმაყოფილების შესწავლა;
- კოლეჯის ადმინისტრაციით კმაყოფილების შესწავლა;
- პრაქტიკული სამუშაოებით კმაყოფილების შესწავლა;
- დამსაქმებელთან ურთიერთობით და საწარმოო პრაქტიკით კმაყოფილების შესწავლა;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა;
- პროფესიული განათლების შესახებ საინფორმაციო წყაროების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა.
**ცხრილი №1**

| კვლევის მეთოდოლოგია | |
|---|---|
| *მეთოდი* | |
| *ტექნიკა* | |
| *სამიზნე ჯგუფი* | |
| *კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა* | |
| *ინტერვიუს ხანგრძლივობა* | |

**კვლევების განხორციელების პროცედურა და პერიოდულობა**

1. ნებისმიერი სახის კვლევებს კოლეჯში ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიული განათლების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან (პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და ა.შ) მჭიდრო კომუნიკაციით.
2. საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა და სხვა) შესაძლებელია მოხდეს კოლეჯის მიერ სხვა ორგანიზაციის ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია).
3. ელექტრონული გზით ჩასატარებელი კვლევის ინტრუმენტები/კითხვარები, პლატფორმაზე evaluation.com, შემუშავებულია სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ და გულისხმობს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. Google Forms ის და Facebook გამოკითხვის ფორმა შემუშავებულია კოლეჯის მიერ და ის შესაძლებელია ექვემდებარებოდეს მოდიფიცირებას კვლევის ყოველი ეტაპის დაწყების წინ (კითხვის ფორმულირების დახვეწა, დამატება, ამოღება და ა.შ.). ასევე კვლევა შესაძლოა ჩატარდეს სატელეფონო ინტერვიუს გზით.
4. ფოკუს ჯგუფის ან ინტერვიურების შემთხვევაში კვლევის ინსრუმენტი/ძირითადი კითხვები დგინდება თითოეული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად. მტკიცდება შესაბამისი ოქმით ან/და აუდიოჩანაწერით და დასწრების ფურცელით.
5. კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. კერძოდ:
ა) პროფესიული სტუდენტის კმაყოფილებისა და თვითშეფასების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთჯერ.
ბ) პერსონალის (პედაგოგიური და ადმინისტრაციული) კმაყოფილების კვლევა წელიწადში ერთჯერ.
გ) პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთჯერ;
დ) კურსდამთავრებულთა კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ.
ე) დამსაქმებელთა კვლევა ხორციელდება ინდივიდუალურად.
ვ) მსმენელთა კმაყოფილების კვლევა ხორციელდება პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების პერიოდში ერთჯერ.
6. კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისგან განსხვავებული სიხშირით საჭიროებიდან გამომდინარე.
7. ელექტრონული გამოკითხვების, ჯგუფური ან/და ინდივიდუალური ინტერვიურების, ამასთან მტკიცებულებების გადამოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება ხორციელდება კვლევის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ან/და საჭიროებისამებრ.
8. ელექტრონული გზით ჩატარებული კვლევები ვალიდურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს რესპოდენტის არანაკლებ 30%-ისა.
9. კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია კვლევების განმახორციელებელი, რომელიც შესაძლოა იყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან დაქირავებული პირი/ორგანიზაცია.
10. კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით კოლეჯის უფლებამოსილი პირი ახორციელებს რეაგირებას, რომელიც შესაძლოა იყოს ხარვეზების გამოსწორების შესახებ დამატებითი დავალებების გაცემა ან შესაბამისი გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა.

11. კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი საქმიანობის სწორად დასაგეგმად (პროგრამების დამატება/მოდიფიცირება და ა.შ.).
12. კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე რეაგირებას გაეცნობიან კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები/ რესპოდენტები, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას მიიღონ გამოკითხვაში მონაწილეობა და იყვნენ გახსნილები.

## კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის მიზნების შესაბამისად რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი შედგება რამდენიმე თემატური მოდულისაგან:

- გამოკითხული რესპონდენტის დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი, ასაკი და პროფესია);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის პროცესის შეფასება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება;
- კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება;
- კოლეჯის პრაქტიკული სამუშაოების შეფასება;
- დამსაქმებლებთან ურთიერთობა და საწარმოო პრაქტიკის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;
- დამოკიდებულებები პროფესიული განათლების მიმართ;
- საინფორმაციო წყაროები - პროფესიული განათლების შესახებ არსებული საინფორმაციო წყაროების შესახებ ინფორმირებულობა.

## შერჩევის დიზაინი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| **ყველა მიმართულება, ჯამურად** | |

## ცვლილებები და დამატებები

სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი'' კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება პერიოდულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1

**პროფესიული სტუდენტის კმაყოფილებისა და თვითშეფასების კითხვარი**

1. **ზოგადი ინფორმაცია**

1.1. პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი

______________________________________________________________________________

1.2. დაბადების თარიღი : ______________________________________________________

1.3. რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ?

______________________________________________________________________________

1.4. გთხოვთ, მიუთითოთ სქესი:
ა) მდედრობითი
ბ) მამრობითი

1.5. გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?
1. დიახ
2. არა

**2. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

2.1. რამდენად იცნობთ ჩვენი დაწესებულების მისიას?
1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
„კარგად“ ან „საშუალოდ“ პასუხის შემთხვევაში გადადით შემდეგ შეკითხვაზე.

2.2. თქვენი აზრით, რამდენად პასუხობს ჩვენი დაწესებულების საქმიანობა მის მიერ გამოცხადებულ მისიას?
1. სავსებით პასუხობს
2. მეტნაკლებად პასუხობს
3. არ პასუხობს
4. მიჭირს პასუხი

2.3. რამდენად იცნობთ ჩვენი დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებს?
1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. მიჭირს პასუხი
„კარგად“ ან „საშუალოდ“ პასუხის შემთხვევაში გადადით შემდეგ შეკითხვაზე.

2.4. ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია ჩვენი მისიის, ხედვისა და ღირებულების შესახებ?

გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.
1. ღია კარის დღეებიდან და სხვა გაფართოებული ღონისძიებებიდან
2. განხორციელებული პროექტებიდან
3. შენობაში გამოკრული საინფორმაციო ბანერებიდან და ბეჭდური მასალიდან
4. დაწესებულების ვებგვერდიდან
5. კატალოგიდან
6. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას
7. არცერთი წყაროდან არ მიმიღია ინფორმაცია
8. სხვა: გთხოვთ მიუთითოთ

2.5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რეკომენდაციები დაწესებულების მისიის, ხედვის ან/და ღირებულებების შესახებ

______________________________________________________________________________

2.6. რამდენად იცნობთ კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს?
1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. მიჭირს პასუხი

2.7. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რეკომენდაციები სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე.

______________________________________________________________________________

2.8. რამდენად გაეცანით ჩვენი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს?
1. დიახ, გავეცანი შესრულების ანგარიშს
2. ვერ გავეცანი შესრულების ანგარიშს, რადგან დოკუმენტი არ იყო საჯარო
3. შესრულების ანგარიში საჯარო იყო, თუმცა ვერ გავეცანი
4. არ დავინტერესებულვარ აღნიშნული საკითხით

**3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესი**

3.1. სწავლის დაწყებისთანავე გავეცანი პროგრამის მიზანს, შინაარს, მოდულებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებს და სასწავლო რესურსს, შეფასების სისტემას.
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.2. გაკმაყოფილებთ თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (მოდულების განაწილება)?
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.3. არის თუ არა პროგრამის ხანგრძლივობა თქვენთვის მისაღები?
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.4. პროგრამაში შემავალი ყველა სავალდებულო მოდული პროფესიისთვის რელევანტურია
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.5. მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის დალაგებული (რომელი მოდული უნდა გავიარო პირველ ჯერზე და რომელი შემდგომ)
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.6. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.7. ჩემთვის არსებული ცხრილი მისაღებია
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.8. ჩემთვის არსებული სასწავლო ცვლები მისაღებია
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

3.9. ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა ოპტიმალურია
ა) კი
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

**4. სტუდენტური სერვისები**

4.1. რამდენად იცნობთ სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებს?
1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. მიჭირს პასუხი

4.2. რამდენად იცნობთ კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს?
1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. მიჭირს პასუხი

4.3 გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რეკომენდაციები სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებასა და სტუდენტური მექანიზმების შესახებ:

_______________________________________________________________________________

4.2 რამდენად იგეგმება არაფორმალური/გასართობი/შემეცნებითი/სპორტული/ექსტრაკურიკულური აქტივობები?
1. ძალიან ხშირად
2. ხშირად
3. ზოგჯერ
4. იშვიათად
5. არასდროს

**5. რამდენად ინფორმატიულია თქვენთვის ჩვენი დაწესებულების ვებგვერდი?**

1. ინფორმატიულია
2. არ რის ინფორმატიული
3. მიჭირს პასუხი
4. ვებგვერდი არ აქვს კოლეჯის

**6. რამდენად ინფორმატიულია თქვენთვის ჩვენი დაწესებულების ფეისბუქ გვერდი?**

1. ინფორმატიულია
2. არ რის ინფორმატიული
3. მიჭირს პასუხი
4. სოციალურ ქსელში გვერდი არ აქვს კოლეჯს

**7. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ წარმოდგენილ დებულებებს დაწესებულების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით:**

**8. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა:**

_______________________________________________________________________________
_______________________________________________________________________________

_______________________________________________________________________________

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | მიჭირს პასუხი | არ ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| შენობა კარგ მდგომარეობაშია | | | | |
| თეორიული სწავლების აუდიტორიები კარგ მდგომარეობაშია | | | | |
| პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიები/სახელოსნოები კარგ მდგომარეობაშია | | | | |
| სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია თეორიული სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი | | | | |
| სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი | | | | |
| სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის/მასალა/ნედლეული გამოსაყენებლად ვარგისია | | | | |
| შენობა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მაგიდა, სკამი, კარადა, ტუმბო) | | | | |
| შენობა აღჭურვილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით | | | | |
| თეორიული სწავლების აუდიტორიების ფართი სტუდენტების რაოდენობის შესაბამისია | | | | |
| პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიების ფართი სტუდენტების რაოდენობის შესაბამისია | | | | |
| ხელმისაწვდომია ბეჭდური /ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები | | | | |
| ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებს | | | | |
| დასასვენებელი სივრცეები შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებს | | | | |
| სპორტული აქტივობების სივრცეები შეესაბამება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებს | | | | |
| ადმინისტრაციული პერსონალი კეთილგანწყობილი და სამართლიანია | | | | |

გმადლობთ თანამშრომლობისთვის ,

გისურვებთ წარმატებებს !

ხელმოწერა
თარიღი ---- ---- 2023

დანართი 2

## პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი

პროფესიული საგანმანათლებლო მასწავლებლის სახელი, გვარი ------------------------------------------

**კმაყოფილების ხარისხი**
1-არადამაკმაყოფილებელი
2-დამაკმაყოფილებელი
3-კარგი
4-ძალიან კარგი
5-ფრიადი

**შემოხაზეთ სასურველი შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| | მასწავლებელი ეფექტურად იყენებდა მეცადინეობისათვის განკუთვნილ დროს | 1 2 3 4 5 |
| | მასწავლებელი ყოველთვის იყო მზად გაკვეთილის სრულფასოვნად ჩასატარებლად | 1 2 3 4 5 |
| | თემები იყო გასაგებად ახსნილი და პროფესიულად საინტერესო | 1 2 3 4 5 |
| | მუდამ იყო თემის გარშემო დისკუსიისა და კითხვის დასმის საშუალება | 1 2 3 4 5 |
| | მასწავლებელი ინტერესდებოდა რამდენად აღიქვა სტუდენტმა ახალი მასალა | 1 2 3 4 5 |
| | იყენებდა თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს გაკვეთილის ჩატარებისას | 1 2 3 4 5 |
| | მასწავლებელი ატარებდა კონსულტაციებს საჭიროების შემთხვევაში | 1 2 3 4 5 |
| | თეორიული სწავლება დამაკმაყოფილებელი იყო | 1 2 3 4 5 |
| | პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობდა საინტერესოდ | 1 2 3 4 5 |
| | ახორციელებდა დამოუკიდებელი სამუშაოების განხილვას | 1 2 3 4 5 |
| | უზრუნველყოფდა ინფორმაციის მოწოდებას სახელმძღვანელოების შესახებ | 1 2 3 4 5 |
| | სასწავლო კურსმა მოლოდინი გაამართლა | 1 2 3 4 5 |
| | მასწავლებლის პიროვნული თვისებები | 1 2 3 4 5 |

**გმადლობთ**

**თარიღი:**

**დანართი 4**

# კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი

**1. ზოგადი ინფორმაცია**

1.1. თქვენი სახელი, გვარი ____________________________________________________

1.2. თქვენი ასაკი /________________/

1.3. გთხოვთ, დაასახელოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ _________________________________________________________________

1.4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეგესაბამებათ?

ა) მაქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი;

ბ) მაქვს სპეციალური საგანმანატლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი;

გ) მაქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი;

დ) იძულებით გადაადგილებული პირი;

ე) ეკომიგრანტი;

ვ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

**2. პროფესიული პროგრამა**

2.1 გთხოვთ, დაასახელოთ ის ფაქტორები, რომელთაც გავლენა იქონიეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას.

1. საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა
2. მშობლების/ახლობლების რჩევა
3. დასაქმების რეალური შესაძლებლობა
4. პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის არარსებობა
5. პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის პრესტიჟულობა
6. სხვა ( მიუთითეთ) ____________________________________________________

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ? ( შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

1. მშობლებისგან
2. სკოლის წარმომადგენლებისაგან
3. მეგობრების, თანატოლებისა და/ან თანაკლასელებისგან
4. კოლეჯში ვიზიტისას
5. ტელევიზიის საშუალებით
6. სარეკლამო ბროშურების საშუალებით
7. ინტერნეტის საშუალებით
8. სხვა ( მიუთითეთ) ____________________________________________________

2.3 სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რა იყო თქვენი მოლოდინი პროგრამის კუთხით? (შესაძლებელია რამოდენიმე პასუხი შეარჩიოთ)

1. მივიღებდი პროფესიულ ცოდნას

2. მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას
3. გავიგებდი, სამომავლოდ სად შეიძლება ჩემი პროფესიით დავსაქმდე
4. გავიცნობდი მომავალ კოლეგებს
5. გავხდებოდი ჩემი საქმის პროფესიონალი
6. მოდულური/სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება დამეხმარებოდა დასაქმებაში
7. სხვა ( მიუთითეთ) ___________________________________________________________

**3. პროგრამაზე სწავლის გამოცდილების შეფასება**

3.1 როგორ შეაფასებთ სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს?

| | არ მაქვს ინფორმაცია (არ მქონია შეხება) | -ძალიან ა̤არყოფი ·ად | | | | 5- ძალიან დადებით ად |
|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხი | | | | | | |
| მასწავლებლის კვალიფიკაცია | | | | | | |
| სტუდენტთა არაორმალური/ექსტრაკულიკულური აქტივობები | | | | | | |
| სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა | | | | | | |
| სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის ცვლილებაში | | | | | | |
| სტუდენტთა კონტაქტი ერთმანეთთან | | | | | | |
| ტექნიკურ აღჭურვილობაზე ხელმისაწვდომობა | | | | | | |
| პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილმოწყობა | | | | | | |
| პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირება შშმ/სსსმ პირებთან | | | | | | |
| ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა | | | | | | |
| სტუდენტთა მოტივაციის ხელშეწყობა | | | | | | |
| სხვა (გთხოვთ მიუთითოთ) | | | | | | |

3.2 როგორ შეაფასებთ დაწესებულების მხრიდან შეთავაზებულ ქვემოთ ჩამოთვლილ სერვისებს?

| | ს ინფორმაცია ნია შეხება) | იან ფითად | | | | ძალიან ითად |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლებლის მხრიდან სამუშაოს ძიების პროცესში დახმარება | | | | | | |
| ამის შინაარსის თანამედროვეობა | | | | | | |
| იკული კომპონენტი | | | | | | |
| რება | | | | | | |
| რის მართვის სპეციალისტთან კონსულტაცია | | | | | | |
| თხოვთ მიუთითოთ) | | | | | | |

## 4. სწავლისას მიღებული კომპეტენციების და სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება

4.1 რამდენად შეიძინეთ/განავითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში ?

| | თოდ არ თარებია | | | | ყუძვლიანად ითარდა |
|---|---|---|---|---|---|
| პროფესიული ცოდნა | | | | | |
| პროფესიული უნარები | | | | | |
| უცხო ენა | | | | | |
| კომპიტერული უნარები | | | | | |
| ახალი იდეების განვითარებისა და შემოქმედებითი უნარები | | | | | |
| ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება | | | | | |
| სამუშაო პროცესების ორგანიზების უნარი | | | | | |
| გუნდურად მუშაობის უნარი | | | | | |
| სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი | | | | | |
| პრობლემის გადაჭრის უნარი | | | | | |
| სხვა (გთხოვთ მიუთითოთ) | | | | | |

4.2 წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, აირჩევდით თუ არა იგივე საგანმანათლებლო პროგრამას?

ა) არ ავირჩევდი;

ბ) ავირჩევდი;

გ) მიჭირს პასუხის გაცემა.

4.3 წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, ჩააბარებდით თუ არა ისევ იგივე სასწავლო დაწესებულებაში?

ა) არ ჩავაბარებდი;

ბ) ჩავაბარებდი;

გ) მიჭირს პასუხის გაცემა.

4.4 გაიხსენეთ სწავლის პერიოდი და შეაჯამეთ, რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით?

ა) საერთოდ არ ვარ კმაყოფილი;

ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ;

გ) კმაყოფილი ვარ;

დ) ძალიან კმაყოფილი ვარ;

ე) მიჭირს პასუხის გაცემა.

## 5. დასაქმება და სამსახური

5.1 ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო თქვენი სტატუსი სწავლის დასრულების მომენტისთვის?

ა) დასაქმებული;

ბ) თვითდასაქმებული;

გ) სტაჟიორი;

დ) უმუშევარი/ სამუშაოს მაძიებელი;

ე) სამხედრო პირი;

ვ) სხვა ____________________________________________________

5.2 ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი სტატუსი ამჟამად?

ა) დასაქმებული;

ბ) თვითდასაქმებული;

გ) სტაჟიორი;

დ) უმუშევარი/ სამუშაოს მაძიებელი;

ე) სამხედრო პირი;

ვ) სხვა ____________________________________________________

5.3 მუშაობთ თუ არა ამჟამად?

ა) დიახ, ამჟამად ვმუშაობ პროფესიით რომელსაც დავეუფლე პროგრამის ფარგლებში;

ბ) დიახ, ამჟამად ვმუშაობ თუმცა სხვა მიმართულებით;

გ) არა, ამჟამად არ ვმუშაობ.

5.4 როდის დაიწყეთ მუშაობა თქვენს ამჟამინდელ სამსახურში?

ა) პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე;

ბ) პროგრამაზე სწავლის პერიოდში;

გ) პროგრამის დასრულებიდან რამოდენიმე თვეში.

5.5 რამდენი ხანია რაც თქვენ ამჟამინდელ სამსახურში მუშაობთ?

ა) 1 თვეზე ნაკლები;

ბ) 1დან-6 თვემდე;

გ) 6დან-12 თვემდე;

დ) 1 წელზე მეტი.

5.6 ჩამოთვლილთაგან რა ტიპის ორგანიზაციაში მუშაობთ ამჟამად?

ა) საჯარო/ სახელმწიფო;

ბ) კერძო;

გ) საკუთარი ორგანიზაცია/ბიზნესი (ვარ თვითდასაქმებული);

დ) არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO);

ე) საერთაშორისო და დიპლომატიური ორგანიზაცია;

ვ) სხვა ___________________________________________

5.7 გთხოვთ, მიუთითეთ ეკონომიკის რომელ სექტროში ხართ ამჟამად დასაქმებული (მაგ. სოფლის მეურნეობა, განათლება, ტურიზმი და ა.შ)

______________________________________________________________________________

5.8. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სამუშაოს დასახელება (მაგ. მოლარე-ოპერატორი, მშენებელი, ხელოსანი და სხვ)

______________________________________________________________________________

5.9 ჩამოთვლილთაგან რომელ კატეგორიაში ხვდება თქვენი ყოველთვიური ანაზღაურება?

ა) 101-300 ლარი;
ბ) 301-500 ლარი;
გ) 501-700 ლარი;
დ) 701-1000 ლარი;
ე) 1000 – 1500 ლარი;
ვ) 1500 – 2000 ლარი;
ზ) 2000-2500 ლარი;
თ) 2500 - 3000 ლარი;
ი) 3000 – 5000 ლარი;
კ) 5000 ლარი და მეტი.
ლ) უარი პასუხზე.

5.10 მოხდა თუ არა თქვენი კარიერული ზრდა და ანაზღაურების ცვლილება პროგრამის დასრულების შემდეგ?

ა) დიახ, დავწინაურდი თუმცა ანაზღაურება არ შეცვლილა;
ბ) კარიერული ზრდა არ მომხდარა, თუმცა ანაზღაურება გაიზარდა;
გ) დიახ, დავწინაურდი და ანაზღაურებაც გაიზარდა;
დ) არაფერი არ შეცვლილა.

## 6. კავშირი პროგრამასა და სამსახურს შორის

6.1 რამდენად ხშირად იყენებთ თქვენ ამჟამინდელ სამსახურში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს?

ა) საერთოდ არ ვიყენებ;
ბ) იშვიათად ვიყენებ;
გ) ვიყენებ;
დ) ძალიან ხშირად ან ყოველთვის ვიყენებ.

6.2 რამდენად შეესაბამება თქვენი ამჟამინდელი სამუშაო იმ პროფესიას რომელსაც დაეუფლეთ?

ა) საერთოდ არ შეესაბამება;
ბ) ნაწილობრივ შეესაბამება;
გ) სრულიად შეესაბამება

6.3. მთლიანობაში რამდენად სასარგებლო იყო თქვენ მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქვემოთ წარმოდგენილი მიზნებისთვის?

| | თოდ არ ასარგებლო | | | | მალიან ებლოა |
|---|---|---|---|---|---|
| სწავლის დასრულების შემდგომ ადეკვატური სამუშაოს მოძიებისთვის | | | | | |
| ამჟამინდელ სამსახურში სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის | | | | | |
| თქვენი მომავალი პროფესიული/კარიერული განვითარებისთვის | | | | | |
| თქვენი პიროვნების განვითარებისთის | | | | | |
| ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის | | | | | |
| | | | | | |

6.4 ჩამოთვლილთაგან რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში?

ა) სამსახურის შეცვლა;

ბ) ანაზღაურების გაზრდა მიმდინარე სამსახურში;

გ) სწავლის ხელახლა დაწყება;

დ) საკუთარი ბიზნესის დაწყება;

ე) არ ვაპირებ ცვლილებებს;

ვ) სხვა: ______________________________________________________________

## 7. შემდგომი განათლება

7.1 პროგრამის დასრულების შემდეგ ხომ არ გაგივლიათ პროფესიული ტრენინგი/მომზადება/გადამზადების კურსი?

ა) არა

ბ) დიახ

*(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითეთ კურსის დასახელება და სწავლების განხორციელების ადგილი)*

______________________________________________________________

7.2 პროგრამის დასრულების შემდეგ გააგრძელეთ თუ არა სწავლა პროფესიულ ან უმაღლეს დაწესებულებაში?

ა) დიახ პროფესიულ სასწავლებელში

ბ) დიახ უმაღლეს სასწავლებელში

გ) არა, პროგრამის დასრულების შემდეგ არ გამიგრძელებია სწავლა.

*(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითეთ პროგრამის და სასწავლებლის დასახელება, სადაც გააგრძელეთ სწავლა)*

______________________________________________________________

**8. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გაქვთ კოლეჯთან ამჟამად?** *(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)*

ა) ელექტრონული ფოსტით მიმოწერა;

ბ) კურსდამთავრებულთა შეხვედრები;

გ) კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ჯგუფის წევრობა;

დ) პროფესიული თანამშრომლობა (კონსულტაციები, სწავლება და სხვა)

ე) არ მსურს მქონდეს კავშირი

ვ) სხვა ____________________________________________________________________

9. **ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გსურთ გქონდეთ კოლეჯთან მომავალში?** *(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)*

ა) ელექტრონული ფოსტით მიმოწერა;

ბ) კურსდამთავრებულთა შეხვედრები;

გ) კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ჯგუფის წევრობა;

დ) პროფესიული თანამშრომლობა (კონსულტაციები, სწავლება და სხვა)

ე) არ მსურს მქონდეს კავშირი

ვ) სხვა (გთხოვთ მიუთითოთ თქვენი მოსაზრება)

_____________________________________________________________________________________

10. **რა კომენტარი შემოთავაზება გაქვთ პროგრამასთან ან/და აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით?**

**გმადლობთ, კვლევაში მონაწილეობის მიღებისთვის!**
**გისურვებთ წარმატებებს!**

*თარიღი:*

დანართი 5

**სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად**

საწარმოს (ორგანიზაცის) დასახელება ----------------------------------------------------

მისამართი (ფაქტობრივი) ------------------------------------------------------------

ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა ------------------------------------------------

საწარმოს/ორგანიზაციის მეპატრონის (ან ხელმძღვანელის) სახელი, გვარი, ტელეფონი

---

საკონტაქტო პირი (*რესპოდენტი*) ------------------------------------------------------------------

სახელი, გვარი, თანამდებობა

--------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა

1. *მომუშავეთა რაოდენობა*

| | |
|---|---|
| კაცი; | 50 კაცი; |
| კაცი; | 00 კაცი; |
| კაცი; | 00 კაცი; |
| კაცი; | 00 კაცი; |
| 0 კაცი; | 00 კაცი; |
| | ხე მეტი |

2. *რა გზით ახდენთ თქვენთვის საჭირო ახალი კადრის მოზიდვას?*

ა) დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მეშვეობით

ბ) დასაქმების კერძო სამსახურის მეშვეობით

გ) რეკლამის (განცხადების) საშუალებით

დ)WEB-ტექნოლოგიის (ინტერნეტის) დახმარებით

ე) პირადი კონტაქტებითა და რეკომენდაციებით

ვ) სასწავლო დაწესებულებიდან

ზ) სხვა (ჩაწერეთ) ---------------------------------------------------------------------------------

3. *გაქვთ თუ არა პრობლემები გარკვეული პროფესიის კადრების მოზიდვისას?*

ა) დიახ;    ბ) არა;    დ) იშვიათად;

4. *ამჟამად კონკრეტულად რომელი პროფესიის კადრების ნაკლებობას განიცდით და რასთან არის ეს დაკავშირებული? (ჩამოწერეთ თქვენთვის დეფიციტური პროფესიები და შემოხაზეთ მიზეზები)*

1) ------------------------------------------------

ა) ქვეყანაში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება;

ბ) რეგიონში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება ;

გ) არა აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა;

დ) არა აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება;

ე) არ ვიცი, ვის მივმართო საჭირო კანდიდატურის მოსაძიებლად;

ვ) არ არიან თანახმა იმუშაონ იმ პირობებზე (ხელფასზე), რომელსაც დამსაქმებელი სთავაზობს;

ზ) არ უნდათ რაიონში (სოფელში) მუშაობა;

თ) სხვა (ჩაწერეთ) ----------------------------------------------------------------------

2) ______________________________________________

ა) ქვეყანაში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება;

ბ) რეგიონში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება ;

გ) არა აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა;

დ) არა აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება;

ე) არ ვიცი, ვის მივმართო საჭირო კანდიდატურის მოსაძიებლად;

ვ) არ არიან თანახმა იმუშაონ იმ პირობებზე (ხელფასზე), რომელსაც დამსაქმებელი სთავაზობს;

ზ) არ უნდათ რაიონში (სოფელში) მუშაობა;

თ) სხვა (ჩაწერეთ) ----------------------------------------------------------------------

5. *რამდენად შეესაბამება დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის დონე და ხარისხი თქვენი ორგანიზაციის მოთხოვნებს?*

1. სრულად;
2. ნაწილობრივ;
3. არ შეესაბამება;

6. *ახორციელებთ თუ არა თქვენი მომუშავეების კვალიფიკაციის ამაღლებას?*

1. სისტემატურად;
2. პერიოდულად;
3. იშვიათად;
4. არა;

7. *რა გზით ახორციელებთ თქვენი მომუშავეების კვალიფიკაციის ამაღლებას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ პასუხის რამდენიმე ვარიანტი)*

1. უშუალოდ სამუშაო ადგილზე მომზადებით;
2. საკუთარ სასწავლო ცენტრში;
3. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი, სასწავლო ცენტრი, ტრენინგ-ცენტრი);

4. უცხოეთში სტაჟირებით;
5. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
6. სხვა (ჩაწერეთ) ------------------------------------------------------------------------

*8. რა სირთულეებს აწყდებით თქვენი პერსონალის მომზადება-გადამზადებისას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ პასუხის რამდენიმე ვარიანტი)*

1. ფინანსების ნაკლებობა;
2. შესაბამისი ინსტრუქტორების (პედაგოგების) მოძიების სირთულე;
3. ტრენინგის (სწავლების) ანალიზის სირთულე (რა სახის ტრენინგია საჭირო? რაში გამოიხატება მისი ეფექტიანობა? ვინ და რაში უნდა გაიაროს სწავლება? და ა.შ.)
4. პერსონალის მხრიდან მოტივაციის (სურვილის) არ არსებობა);
5. სწავლების დაბალი ხარისხი (დაბალი შედეგიანობა);
6. სწავლების ჩატარებისათვის დროის უქონლობა;
7. სწავლება არ არის საჭირო;
8. სხვა (ჩაწერეთ) ------------------------------------------------------------------------

*9. გაქვთ თუ არა რეგულარული კავშირი შესაბამისი პროფილის პროფესიულ სასწავლებლებთან?*

ა) დიახ ------------------------------------------------------------------------------------
ბ) არა ------------------------------------------------------------------------------------

*10. თუ დიახ , აღნიშნეთ რა მიზნით? (შემოხაზეთ)*

ა) მათ კურსდათავრებულებს სამუშაოზე ვიღებთ
ბ) ვუხდით თანხას ჩვენი ახალი თანამშრომლების მომზადებაში
გ) ვუხდით თანხას ჩვენი თანამშრომლების გადამზადებაში
დ) მათ სტუდენტებს ჩვენს საწარმოში საზოგადოებრივი პრაქტიკის შესაძლებლობას ვაძლევთ
ე) დროდადრო ვთანამშრომლობთ მათი სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით
ვ) რეგულარულად ვთანამშრომლობთ მათი სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით
ზ) ვართ მათი მართვის ორგანოს ნაწილი (საბჭო ა. შ.)
თ) სხვა (ჩაწერეთ) ------------------------------------------------------------------------

*11. თუ ისურვებდით პროფესიულ / საზოგადოებრივ კოლეჯთან მუშაობას?*

ა) დიახ ბ) არა

*12. რა სახის თანამშრომლობა გექნებათ მათთან?*

ა) განვიხილავდით შესაძლებლობებს მათი კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის
ბ) შესაძლოა გადაგვეხადა თანხა ჩვენი თანამშრომლების გადამზადებისთვის
გ) შესაძლოა მათი სტუდენტებისათვის შეგვეთავაზებინა იტერნატურა ჩვენს ორგანიზაციაში
დ) შესაძლოა დროდადრო გვემუშავა მათთან სასწავლო პროგრამასთან დაკავშირები
ე) შესაძლოა რეგულარულად გვემუშავა მათთან სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით
ვ) ვისურვებდით გავმხდარიყავით მათი მმართველი სტრუქტურის სამეთვალყურეო საბჭო ა.შ.
ზ) სხვა (მიუთითეთ) -------------------------------------------------------------------

*13. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პროფესიული სასაწავლებლების რამდენი ახალკურსდამავრებული მიიღეთ სამუშაოზე?*

(მიუთითეთ) ----------------

*14. შეესაბამება თუ არა ახალკურსდამთავრებულთა პროფესიუყლი მომზადების დონე თქვენი ორგანიზაციის მოთხოვნებს?*

ა)სრულად; ბ) ნაწილობრივ; გ) არ შეესაბამება; დ) არ არის პასუხი

*15. თუ არ შეესაბამება, მიუთითეთ კონკრეტულად რა არ გაკმაყოფილებთ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ პასუხის რამდენიმე ვარიანტი)*

ა) მიღებული თეორიული ცოდნა

ბ) კონკრეტული საზოგადოებრივი კვალიფიკაცია

გ) პრაქტიკული უნარ-ჩევების არარსებობა

დ) საინფორმაციო ტექნოლოგიებთან (კომპიუტერთან) მიუშაობის უნარი

ე) კომუნიკაბელურობა

ვ) საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა

ზ) ინიციატივა

თ) სხვა ( მიუთითეთ დეტალურად) -----------------------------------------------------

*16. იგეგმება თუ არა თქვენს ორგანიზაციაში უახლოეს 2-3 წელიწადში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება?*

ა) იგეგმება მნიშვლენოვანი ზრდა

ბ) იგეგმება უმნიშვნელო ზრდა

გ) იგეგმება მნიშვნელოვანი შემცირება

დ) იგეგმება უმნიშვნელო შემცირება

ე) ცვლილებები არ არის დაგეგმილი

ვ) არ ვიცი

*17. თუ აპირებთ ახალი კადრების აყვანას, საზოგადოებრივი კოლეჯის რამდენ კურსდამთავრებულს დაასაქმებდით თქვენს ორგანიზაციაში მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, თუკი მათი კვალიფიკაცია დაგაკმაყოფილებდათ?*

(მიუთითეთ) -----------------

*18. სხვაგან კიდევ სად მოიძებნიდით კვალიფიცირებულ მუშახელს?*

(მიუთითეთ) -----------------

19. რა პროფესიის კადრები შეიძლება დაგჭირდეთ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში *?* (ჩამოწერეთ საჭირო პროფესიები და მიუთითეთ სავარაუდო რაოდენობა)

ა) პროფესია (სპეციალობა) ----------------------------------------- (რაოდენობა) --------
ბ) პროფესია (სპეციალობა) ----------------------------------------- (რაოდენობა) --------
გ) პროფესია (სპეციალობა) ----------------------------------------- (რაოდენობა)---------
დ) პროფესია (სპეციალობა) ----------------------------------------- (რაოდენობა) --------

*20. ხომ არ გაქვთ რაიმე შენიშვნა ან კონკრეტული შემოთავაზება?*

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-------------------------------------------------------------------------------------------------------

მადლობას მოგახსენებთ გულისხმიერებისა და თანამშრომლობისთვის!

შევსების თარიღი “-------“ “--------------------------“ წ.
ინტერვიუერი ------------------------------------------------